საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1117 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასათვის" იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ღურტაში მდებარე 8493 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №23.02.37.089) და ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დიაკონიძეებში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №23.06.39.254), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად - 1 (ერთი) ლარად, გადასცეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას" (ს/კ: 404401438).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს მათი გამოყენება საქართველოს მთავრობას, „Clean Energy Invest As"-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას" შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით (2012 წლის 28 სექტემბერს და 2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით) ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, გრუნტისა და ფუჭი ქანების სანაყაროს მოსაწყობად.

3. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია" ვალდებულია, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთებზე, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე, განახორციელოს არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და შენახვის სამუშაოები, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ" და „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესების დაცვით და საიჯარო ურთიერთობის ვადის ამოწურვამდე პირვანდელ ან/და მიახლოებულ პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა (რეკულტივაცია).

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**